გადაწყვეტილება

N გ-22-19/166
07/04/2022

166-გ-22-1-4-202204071024

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 19 მარტის № გ-20-7/323 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-22-6/1183, 18.03.22) მიმართა საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნულმა ასოციაციამ (რეგისტრირებული 2020 წლის 27 ნოემბერს ეროვნული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგ. № 06/9-209; ს/კ № 204420518) რადიოსადგურის მისამართის შეცვლის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2020 წლის 19 მარტის № გ-20-7/323 გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნულმა ასოციაციის რადიოსადგური განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

რეგისტრაციის №	**რადიოსადგურის მფლობელი**	**რადიოსადგურის განთავსების ადგილი**	**სახმობი**	**კატეგორია**
EN - 07	საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ასოციაცია	ქ. თბილისი, აღმაშენებლის 70	**4L0G**	**„E“**

კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ასოციაციის მომართვის საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნია კომისიის მიერ 2020 წლის 19 მარტის № გ-20-7/323 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა და სარეგისრტაციო მისამართის შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2020 წლის 19 მარტის № გ-20-7/323 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნულ ასოციაციას სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით **2020 წლის 19 მარტიდან 2025 წლის 19 მარტამდე:**

რეგისტრაციის №	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
EN - 07	საქართველოს რადიომყვარულთა ეროვნული ასოციაცია	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარტყოფის საკრებულო, სოფელი მარტყოფი, მზიანეთის აგარაკები	**4L0G**	**„E“**

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ასოციაციისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ასოციაციისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი